



შეთანხმება N_____

**ინტერნეტ/სილქ ტვ მომსახურებებისა და მოწყობილობების ინსტალაციის ღირებულების, ასევე
ინტერნეტ/სილქ ტვ მომსახურებების სააბონენტო გადასახდელის
ეტაპობრივი გადახდის შესახებ (12 თვიანი ვადით)**

ქ. _____ 201_ წ.

სს „სილქნეტი“ (ს/ნ 204566978, იურიდიული მისამართი თბილისი, წინამძღვრიშვილის N95)
წარმოდგენილი _____ სახით, (შემდგომში „სილქნეტი“) და

აბონენტი _____ (პ/ნ ან ს/კ _____, მისამართი:
_____, სააბონენტო ხელშეკრულების N _____ / თარიღი _____,
სააბონენტო ანგარიშის ნომერი _____), (შემდგომში „აბონენტი“),

აღნიშნულ შეთანხმებას (შემდგომში: „შეთანხმება“) ვაფორმებთ შემდეგზე:

1. „სილქნეტსა“ და „აბონენტს“ შორის დადებულია სააბონენტო ხელშეკრულება (შემდგომში „სააბონენტო ხელშეკრულება“) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებ(ებ)ის (მათ შორის, სილქ ტვ და/ან ინტერნეტ მომსახურების) მიწოდების შესახებ (შემდგომში „მომსახურება“).
2. „სააბონენტო ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სტანდარტული სააბონენტო გადასახდელის, ყოველთვიურად, განსხვავებული ოდენობით გადახდის ან/და „მომსახურების“/ „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულების“ ეტაპობრივი გადახდის მიზნით, მხარეები თანხმდებიან „სააბონენტო ხელშეკრულებიდან“ განსხვავებულ და არასტანდარტულ პირობებზე და აღნიშნულის გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე შეთანხმებას „მომსახურებ(ებ)ის“ სააბონენტო გადასახდელის (შემდგომში „სააბონენტო გადასახდელი“) ან/და მომსახურებ(ებ)ის ან/და მოწყობილობ(ებ)ის ინსტალაციის ღირებულების (შემდგომში „მომსახურების ინსტალაციის ღირებულება“ / „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულება“) ეტაპობრივი გადახდის პირობებზე.
2. „აბონენტი“, „სააბონენტო გადასახდელს“ ან/და „მომსახურების“ ან/და „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულებას“ გადაიხდის ეტაპობრივად, ყოველთვიურად, წინამდებარე „შეთანხმებაზე“ თანდართული

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

გადახდის გრაფიკ(ებ)ის (დანართი N1) შესაბამისად, იმ მომსახურებებზე/ინსტალაციებზე და იმ ვადის განმავლობაში, როგორც ეს მოცემულია „შეთანხმების“ N1 დანართში.

3. თითოეულ მომსახურებაზე / ინსტალაციაზე „შეთანხმების“ N1 დანართში გაწერილია „სააბონენტო გადასახდელის“ ან/და „მომსახურების“ / „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულების“ გადახდის დამოუკიდებელი გრაფიკი; მათი გადახდა სააბონენტო ანგარიშზე აღირიცხება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, აბონენტს შეუძლია ყოველი კონკრეტული გრაფიკის, სხვა გრაფიკებისგან დამოუკიდებლად, ვადამდე დაფარვა.
4. აბონენტი, ეტაპობრივად გადასახდელი თანხის სრულად დაფარვამდე, გარდა „სააბონენტო გადასახდელის“ ან/და „მომსახურების“ ან/და „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულების“ თანხისა, ყოველთვიურად დამატებით გადაიხდის საკომისიო თანხას თვეში 3 (სამი) ლარის ოდენობით;
5. გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიურად გადასახდელი თანხა შეიძლება შეიცვალოს, კერძოდ, შემცირდეს მომსახურებაზე არსებული დაზიანების / შეფერხების ან მომსახურების შეზღუდვის გამო დაკორექტირებული თანხის პროპორციულად.
6. „სააბონენტო გადასახდელზე“ ეტაპობრივი გადახდის პირობები ვრცელდება ოპტიკური ორმაგი შეთავაზების შემდეგ კომბინაციებზე:
 - 6.1. "სტარტ" და "ლაით" პაკეტებზე;
 - 6.2. "სტარტ+" და "ლაით" პაკეტებზე;
 - 6.3. "სტარტ+" და "ლუქს" პაკეტებზე;
 - 6.4. "დრაივ" და "ლაით" პაკეტებზე.
7. თუ ფიზიკური პირი/აბონენტი რეგისტრირდება ან სარგებლობს ერთდროულად ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებით, ან ამის შემდგომ, იმატებს მომსახურებას, რის შემდეგაც ანგარიშზე ერთდროულად ექნება ინტერნეტი და სილქ ტვ მომსახურება და ირჩევს ღირებულების ეტაპობრივი გადახდის პირობებს, ასეთ შემთხვევაში შეზღუდულია მხოლოდ ერთ-ერთ მომსახურებაზე (სილქ ტვ-ზე ან ინტერნეტზე) ეტაპობრივი გადახდით სარგებლობა და ეტაპობრივად გადახდა გავრცელდება ორივე მომსახურებაზე.
8. თუ აბონენტი დამატებითი ტელევიზიის „ინსტალაციის ღირებულებას“ იხდის ეტაპობრივი გადახდის პირობებზე შეთანხმებით გათვალისწინებული გრაფიკით, ყოველი მომდევნო დამატებითი ტელევიზიის ინსტალაციის შემთხვევაში, მას ავტომატურად გაუაქტიურდება ეტაპობრივი გადახდის პირობებზე შეთანხმებით გათვალისწინებული ახალი გრაფიკი მომდევნო დამატებითი ტელევიზი(ებ)ის „ინსტალაციის ღირებულებაზე“. ასეთი გრაფიკი გაფორმდება დამოუკიდებლად, დამატებითი ტელევიზიის ინსტალაციის მანამდე (მომდევნო დამატებითი ტელევიზიის დამატებამდე) მოქმედი გრაფიკის ანალოგიური ვადით.
9. შეზღუდულია ორზე მეტი დამატებითი ტელევიზიის დამატება იმ სააბონენტო ანგარიშზე, რომელზეც გააქტიურებულია ეტაპობრივი გადახდის მომსახურება.
10. შეზღუდულია „სილქნეტის“ მომსახურებ(ებ)ით მოსარგებლე აბონენტის მიერ, ერთდროულად, ეტაპობრივი გადახდით სარგებლობა ერთზე მეტ სააბონენტო ანგარიშზე. ამასთან, ერთ სააბონენტო ანგარიშზე არ არის შეზღუდული ერთდროულად რამდენიმე ეტაპობრივი გადახდით სარგებლობა.

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

11. შეზღუდულია „სილქ ფონის“ მომსახურების დამატება, თუ აბონენტს მოქმედი აქვს „ინსტალაციის ღირებულებისა“ და „სააბონენტო გადასახდელის“ ეტაპობრივი გადახდის შეთანხმება/გრაფიკი. აბონენტი რომელსაც გააქტიურებული აქვს „სილქ ფონი“, ვერ ისარგებლებს „მოწყობილობის“ / „მომსახურების“ „ინსტალაციის ღირებულებისა“ და „სააბონენტო გადასახდელის“ ეტაპობრივი გადახდის პირობებით.
12. აბონენტი, რომელიც სარგებლობდა „მოწყობილობის“ / „მომსახურების“ „ინსტალაციის ღირებულებისა“ და „სააბონენტო გადასახდელის“ ეტაპობრივი გადახდის პირობებით და მის დავალიანებაზე მოთხოვნის უფლების „სილქნეტის“ მიერ დათმობა განხორციელდა სს „სილქ როუდ ბანკზე“ (შემდგომში „ბანკი“), ასეთი აბონენტი ვეღარ ისარგებლებს ეტაპობრივი გადახდის პირობებით ხელმოწერდ.
13. „სააბონენტო გადასახდელის“ ან/და „მომსახურების“ / „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულების“ და საკომისიო თანხის ეტაპობრივი გადახდა უნდა მოხდეს გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად, შესაბამისი „სააბონენტო ხელშეკრულებით“ სააბონენტო გადასახდელის გადახდისთვის დადგენილ თარიღებში:
14. „სააბონენტო გადასახდელის“ ან/და „მომსახურების“ ან/და „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულების“ ეტაპობრივი გადახდისას, „შეთანხმების“ N1 დანართით განსაზღვრული ვადის გასვლამდე, აბონენტს ნებისმიერ დროს შეუძლია ერთი ან რამდენიმე გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელი ნაწილის ვადამდე დაფარვა და „შეთანხმების“ სრულად ან ნაწილობრივ ვადამდე შეწყვეტა (მომსახურების გაუქმებით ან გაუქმების გარეშე), აღნიშნულის შესახებ წერილობითი განცხადებით სერვის ცენტრისათვის მიმართვის საფუძველზე და „შეთანხმების“ შეწყვეტით.
15. **მე-14 პუნქტით** განსაზღვრულ შემთხვევაში, გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელი ნაწილის ვადამდე დაფარვა აბონენტის მიერ უნდა განხორციელდეს ერთიანად, შემდეგი წესით:
 - 15.1. „მომსახურების“ / „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულების“ ვადამდე დაფარვისას - ინსტალაცი(ებ)ის სტანდარტული ღირებულების გადანაწილების შედეგად დარჩენილი გადაუხდელი ნაწილი სრულად;
 - 15.2. „სააბონენტო გადასახდელის“ ვადამდე დაფარვისას - ეტაპობრივი გადახდისას მომსახურებებით ფაქტობრივად ნასარგებლებ პერიოდზე გადასახდელ სტანდარტულ სააბონენტო გადასახდელსა და ეტაპობრივი გადახდის გრაფიკით გადახდილ თანხებს შორის სხვაობის თანხები ჯამური ოდენობით.
 - 15.3. აღნიშნული თანხების გადახდა აბონენტის მიერ უნდა განხორციელდეს ვადამდე დაფარვის განაცხადის სერვის ცენტრში დაფიქსირებისა და „შეთანხმების“ შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმების საფუძველზე. შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში შევა 15.1. და 15.2. ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანხის დაფარვის დღიდან.
 - 15.4. „შეთანხმების“ 15.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ვადამდე დასაფარი თანხის დაანგარიშებისას, ფაქტობრივად ნასარგებლებ პერიოდში მიმდინარე საანგარიშო თვის გათვალისწინება არ მოხდება. აბონენტი მიმდინარე საანგარიშო თვისთვის გადასახდელ თანხას გადაიხდის საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე.
16. „შეთანხმებით“ განსაზღვრული გადასახდელი თანხის ვადამდე დაფარვის შესახებ კონკრეტული მომართვის გარეშე, სააბონენტო ანგარიშზე ვადამდე ერთიანად ჩარიცხული თანხა არ ჩაითვლება

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
 თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

დარჩენილი თანხის ვადამდე დაფარვად და განიხილება როგორც საავანსო თანხა, რომელიც შესაძლოა გახარჯულ იქნეს ანგარიშზე არსებული ნებისმიერი დავალიანების დაფარვის მიზნით.

17. იმ შემთხვევაში, თუ ხდება აბონენტის ინიციატივით ინტერნეტის და/ან სილ ტვ მომსახურებების შეწყვეტა (გაუქმება), აბონენტი ვალდებულია მომსახურებების გაუქმებამდე / „სააბონენტო ხელშეკრულების“ შეწყვეტამდე და „შეთანხმების“ სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტამდე დაფაროს გასაუქმებელი მომსახურებ(ებ)ის ეტაპობრივი გადახდის პირობებზე შეთანხმებით გათვალისწინებული გრაფიკით განსაზღვრული თანხა 15.1., 15.2., 17.1., 17.2. და 17.3. ქვეპუნქტებით დადგენილი წესითა და ოდენობით, რის შემდეგაც მოხდება როგორც ეტაპობრივი გადახდის „შეთანხმების“ სრულად ან ნაწილობრივ ვადამდე შეწყვეტა, ისე მომსახურების/ „სააბონენტო ხელშეკრულების“ (გაუქმებული მომსახურების ფარგლებში) შეწყვეტა. ვადამდე დაფარვისას აბონენტი იხდის შემდეგ თანხებს:

17.1. თუ აბონენტს სურს მხოლოდ ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების გაუქმება, აბონენტმა გაუქმებამდე, 15.1. და 15.2. პუნქტებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით, უნდა დაფაროს: ა) თუ სარგებლობს ცალკე მდგომი ინტერნეტით - ინტერნეტ მომსახურების „ინსტალაციის ღირებულების“ და/ან „მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულების“ გრაფიკით გადასახდელი თანხები, ბ) თუ სარგებლობს ოპტიკური ორმაგი შეთავაზებით (სილქ ტვ და ინტერნეტი ერთად) - ორმაგი შეთავაზების „ინსტალაციის ღირებულების“ და/ან ინტერნეტის და სილქ ტვ-ის „სააბონენტო გადასახდელის“ გრაფიკით გადასახდელი თანხები;

17.2. თუ აბონენტს სურს მხოლოდ სილქ ტვ მომსახურების გაუქმება, აბონენტმა გაუქმებამდე, 15.1. და 15.2. პუნქტებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით, უნდა დაფაროს: ა) თუ სარგებლობს ცალკე მდგომი სილქ ტვ მომსახურებით - სილქ ტვ „ინსტალაციის ღირებულების“ და/ან დამატებითი ტელევიზიის „ინსტალაციის ღირებულების“ გრაფიკით გადასახდელი თანხები (ასეთის არსებობისას), ბ) თუ სარგებლობს ოპტიკური ორმაგი შეთავაზებით (სილქ ტვ და ინტერნეტი ერთად) - ორმაგი შეთავაზების „ინსტალაციის ღირებულების“ და/ან ინტერნეტის და სილქ ტვ „სააბონენტო გადასახდელის“ და/ან დამატებითი ტელევიზიის „ინსტალაციის ღირებულების“ გრაფიკით გადასახდელი თანხები (ასეთის არსებობისას);

17.3. თუ აბონენტს სურს დამატებითი ტელევიზიის გაუქმება, აბონენტმა გაუქმებამდე უნდა დაფაროს დამატებითი ტელევიზიის ინსტალაცი(ებ)ის სტანდარტული ღირებულების გადანაწილების შედეგად დარჩენილი გადაუხდელი ნაწილი სრულად (ასეთის არსებობისას), 15.1. პუნქტით განსაზღვრული წესითა და ოდენობით;

17.4. თუ აბონენტს სურს დააბრუნოს უსადენო მოწყობილობა, დაბრუნებამდე, ვადამდე უნდა დაფაროს უსადენო მოწყობილობის „ინსტალაციის ღირებულების“ სტანდარტული ღირებულების გადანაწილების შედეგად დარჩენილი გადაუხდელი ნაწილი სრულად (ასეთის არსებობისას), 15.1. პუნქტით განსაზღვრული წესითა და ოდენობით).

18. ეტაპობრივი გადახდის გრაფიკით განსაზღვრული ვადის გასვლამდე, აბონენტს, რომელიც დარეგისტრირებულია ან სარგებლობს ეტაპობრივი გადახდით „სააბონენტო გადასახდელზე“, **ეზღუდება**

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

ინტერნეტ და სილქ ტვ პაკეტების ცვლილება. სხვა პაკეტზე / პაკეტების კომბინაციაზე გადასვლისთვის, უნდა მოხდეს „სააბონენტო გადასახდელზე“ გაფორმებული ეტაპობრივი გადახდის „შეთანხმების“ ვადამდე შეწყვეტა ამ „შეთანხმებით“ დადგენილი წესით;

19. აბონენტს, რომელიც სარგებლობს ეტაპობრივი გადახდით „**მომსახურების**“ / „**მოწყობილობის**“ „**ინსტალაციის ღირებულების**“ ნაწილში, არ ეზღუდება სააბონენტო პაკეტის ცვლილება სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურებაზე.
20. ეტაპობრივი გადახდის გრაფიკით განსაზღვრული ვადის გასვლამდე, აბონენტს, რომელიც სარგებლობს ეტაპობრივი გადახდით, **ეზღუდება „მომსახურების“ დროებით შეჩერების (დაპაუზების) შესაძლებლობა.**
21. ეტაპობრივი გადახდის გრაფიკით განსაზღვრული ვადის გასვლამდე, აბონენტს, რომელიც სარგებლობს ეტაპობრივი გადახდით, **ეზღუდება „მომსახურების“ მიწოდების მისამართის ან ტექნოლოგიის ცვლილების შესაძლებლობა;**
22. იმისათვის, რომ ეტაპობრივი გადახდის გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში აბონენტმა მოითხოვოს „მომსახურების“ მიწოდების მისამართის ან ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაცია, უნდა მოხდეს „შეთანხმების“ ვადამდე შეწყვეტა ამ „შეთანხმებით“ დადგენილი წესით;
23. ეტაპობრივი გადახდის გრაფიკით განსაზღვრული ვადის გასვლამდე, „**მომსახურების**“ სხვა პირზე **გადაფორმების შემთხვევაში**, გადაფორმებამდე, **უნდა მოხდეს ა) ორივე მხარის გამოცხადება სერვისცენტრში, ბ) გადაფორმების განცხადების საფუძველზე, ეტაპობრივი გადახდის პირობებზე არსებულ „შეთანხმებში“ მხარედ ახალი აბონენტის ჩანაცვლება;**
24. გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიური **გადასახდელის ვადაგადაცილების შემთხვევაში, მომსახურებ(ებ)ა შეიზღუდება** და აბონენტს სააბონენტო ანგარიშზე **დაერიცხება** ეტაპობრივი გადახდის **ვადაგადაცილების ჯარიმა:**
 - 24.1. „სააბონენტო გადასახდელზე“ - წინა თვის განმავლობაში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების სტანდარტული სააბონენტო ყოველთვიური გადასახდელის გადაუხდელი ნაწილის 20%-ის ოდენობით;
 - 24.2. „მომსახურების/„მოწყობილობის“ „ინსტალაციის ღირებულებაზე“ - ვადაგადაცილებული პერიოდის, გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური გადასახდელის გადაუხდელი ნაწილის 20%-ის ოდენობით.
25. გრაფიკით გათვალისწინებული ყოველთვიური **გადასახდელის ვადაგადაცილებიდან/ შეზღუდვიდან არასრული სამი თვის გასვლისას, აბონენტს შეუწყდება „მომსახურებები“/ „სააბონენტო ხელშეკრულება“/ „შეთანხმება“ და დაერიცხება:**
 - 25.1. პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განისაზღვრება ამ „შეთანხმების“ საფუძველზე გაწეული მთლიანი მომსახურების სტანდარტული საფასურის საშუალო თვიური მაჩვენებლის 20%-ით;
 - 25.2. ეტაპობრივი გადახდისას მომსახურებებით ფაქტობრივად ნასარგებლებ პერიოდზე გადასახდელ სტანდარტულ სააბონენტო გადასახდელსა და ეტაპობრივი გადახდის

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

პირობებზე „შეთანხმებით“ განსაზღვრული გრაფიკით გადახდილ თანხებს შორის სხვაობის თანხები ჯამური ოდენობით;

25.3. მომსახურებაზე გაწეული არასტანდარტული ხარჯის ანაზღაურების თანხა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

26. „მომსახურებების“ შეწყვეტისას, მოწყობილობების დაუბრუნებლობის შემთხვევაში აბონენტს დაერიცხება მოწყობილობების სარეალიზაციო ღირებულება, „სააბონენტო ხელშეკრულებით“ დადგენილი სტანდარტული წესით/ ვადაში;
27. ეტაპობრივი გადახდის შესახებ „შეთანხმების“ გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში „სილქნეტის“ მიერ მოხდება აბონენტთან გაფორმებული „შეთანხმების“ პირობების შესახებ ინფორმაციის და აბონენტის შესახებ კომპანიაში დაცული პერსონალური მონაცემის „ბანკისთვის“ გადაცემა, რაზეც აბონენტი წინამდებარე „შეთანხმებაზე“ ხელმოწერით აცხადებს თანხმობას;
28. ამ „შეთანხმების“ 24-ე პუნქტით განსაზღვრული პირობის დადგომის შემთხვევაში, მომსახურებ(ებ)ის შეზღუდვიდან 1 (ერთი) თვის ამოწურვის მომდევნო დღიდან, „სილქნეტის“ მიერ მოხდება აბონენტის დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და აბონენტის შესახებ კომპანიაში დაცული პერსონალური მონაცემის „ბანკისთვის“ გადაცემა, რაზეც აბონენტი წინამდებარე „შეთანხმებაზე“ ხელმოწერით აცხადებს თანხმობას;
29. ამ „შეთანხმების“ 25-ე პუნქტით განსაზღვრული პირობის დადგომის შემთხვევაში, მომსახურებ(ებ)ის შეწყვეტიდან არასრული სამი თვის ამოწურვის მომდევნო დღიდან, „სილქნეტის“ მიერ მოხდება აბონენტის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლების „ბანკისთვის“ დათმობა და აბონენტის შესახებ კომპანიაში დაცული პერსონალური მონაცემის „ბანკისთვის“ გადაცემა, რაზეც აბონენტი წინამდებარე „შეთანხმებაზე“ ხელმოწერით აცხადებს თანხმობას;
30. აბონენტი წინამდებარე „შეთანხმებაზე“ ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, ყოველგვარი შეზღუდვებისა და დამატებითი ნებართვების გარეშე, „ბანკმა“ 1) განათავსოს, მოიპოვოს და გაეცნოს მის (აბონენტის) შესახებ ინფორმაციას სს „კრედიტინფო საქართველოს“ (რეგისტრირებული კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეგ.ნომ 06/5-51, ს/ნ - 204470740) მონაცემთა ბაზაში, 2) დაამუშავოს აბონენტის პერსონალური ინფორმაცია, 3) ყოველგვარის შეზღუდვებისა და დამატებითი ნებართვების გარეშე, „სილქნეტმა“ „ბანკს“ გადასცეს მისი (აბონენტის) პერსონალური მონაცემი, ამ მონაცემის გაცნობის, დამუშავების და მისი შემდგომი გადაცემის უფლებით;
31. თუ აბონენტი, რომლის დავალიანებაზე „სილქნეტის“ მოთხოვნის უფლება დათმობილია „ბანკის“ სასარგებლოდ, „სილქნეტს“ დაუბრუნებს მოწყობილობებს „მომსახურებების“ შეწყვეტიდან, „სააბონენტო ხელშეკრულებით“ დადგენილ სტანდარტულ ვადაში (ერთი წლის განმავლობაში), ასეთ შემთხვევაში:
- 31.1. აღნიშნული თანხით შემცირდება აბონენტის მიერ ბანკის სასარგებლოდ დასაფარი დავალიანება - „სილქნეტის“ მიერ აღნიშნული მოწყობილობების სარეალიზაციო ღირებულების „ბანკისთვის“ ანაზღაურების გზით,
- 31.2. ხოლო თუ მოწყობილობის დაბრუნების მომენტისთვის უკვე მოხდა აბონენტის მიერ დავალიანების დაფარვა ბანკის სასარგებლოდ, მოწყობილობის გამოსყიდვის ფასი ავანსის სახით დაირიცხება ინტერნეტ/ სილქ ტვ მომსახურების შესაბამის სააბონენტო ანგარიშის

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

ნომერზე (ავანსის დარიცხვა განხორციელდება ავტომატურად). აბონენტის სურვილის შემთხვევაში, კომპანიის სერვისცენტრში განცხადების წარდგენის საფუძველზე, შესაძლებელი იქნება სააბონენტო ანგარიშზე ავანსად დარიცხული თანხის: ა) იმავე აბონენტის სხვა სააბონენტო ანგარიშზე გადატანა, ბ) მესამე პირის სააბონენტო ანგარიშზე გადატანა, გ) ანგარიშიდან გატანა (განაღდება), აბონენტის მიერ, განცხადებასთან ერთად, დამატებით, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების წარდგენის პირობით.

32. „შეთანხმება“ დაერთვის მხარეთა შორის დადებულ „სააბონენტო ხელშეკრულებას“ და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამასთან, „სააბონენტო ხელშეკრულებისა“ და „შეთანხმების“ პირობებს შორის სხვაობისას უპირატესი ძალა ენიჭება „შეთანხმების“ პირობებს;
33. „შეთანხმება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. ამასთან, აბონენტთან, როგორც წინამდებარე „შეთანხმების“ გაფორმებამდე, ისე „სააბონენტო ხელშეკრულებისა“ და „შეთანხმების“ ერთდროულად გაფორმებისას დადებული „სააბონენტო ხელშეკრულების“ ვადა თითოეულ „მომსახურებაზე“ განისაზღვრება ამ მომსახურების ღირებულების ეტაპობრივი გადახდის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული შესაბამისი ვადით;
34. „შეთანხმება“ შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება „სილქნეტს“, ხოლო მეორე გადაეცემა „აბონენტს“.

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

გრაფიკი N1.

სააბონენტო პაკეტები - „სტარტი“ და „ლაითი“ - სააბონენტო გადასახდელი - 46 ლარი , ვადა - 12 თვე

სილქ ტვ + ინტერნეტი (მომსახურების სააბონენტო გადასახდელი)	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	46.00	<u>552.0</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12		
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	69.00	69.00	69.00	69.00	69.00	69.00	69.00	<u>552.0</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36</u>
ჯამი	26.00	26.00	26.00	26.00	26.00	26.00	72.00	72.00	72.00	72.00	72.00	72.00	72.00	<u>588.0</u>

გრაფიკი N2.

სააბონენტო პაკეტები - „სტარტი“ და „ლაითი“; სააბონენტო გადასახდელი - 55 ლარი , ვადა - 12 თვე

სილქ ტვ + ინტერნეტი (მომსახურების სააბონენტო გადასახდელი)	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	55.00	<u>660.0</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12		
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა	27.50	27.50	27.50	27.50	27.50	27.50	82.50	82.50	82.50	82.50	82.50	82.50	82.50	<u>660.0</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36</u>
ჯამი	30.50	30.50	30.50	30.50	30.50	30.50	85.50	85.50	85.50	85.50	85.50	85.50	85.50	<u>696.0</u>

გრაფიკი N3.

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

საბონენტო პაკეტი „დრაივი“ და „ლაითი“, საბონენტო გადასახდელი - 60 ლარი, ვადა - 12 თვე

სილქ ტვ + ინტერნეტი (მომსახურების საბონენტო გადასახდელი)													
	60.00	60.00	60.00	60.00	60.00	60.00	60.00	60.00	60.00	60.00	60.00	60.00	<u>720.0</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა													
	30.00	30.00	30.00	30.00	30.00	30.00	90.00	90.00	90.00	90.00	90.00	90.00	<u>720.0</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36</u>
ჯამი	<u>33.00</u>	<u>33.00</u>	<u>33.00</u>	<u>33.00</u>	<u>33.00</u>	<u>33.00</u>	<u>93.00</u>	<u>93.00</u>	<u>93.00</u>	<u>93.00</u>	<u>93.00</u>	<u>93.00</u>	<u>756.0</u>

გრაფიკი N4.

საბონენტო პაკეტი „სტარტ +“ და „ლუქსი“, საბონენტო გადასახდელი - 65 ლარი, ვადა - 12 თვე

სილქ ტვ + ინტერნეტი (მომსახურების საბონენტო გადასახდელი)													
	65.00	65.00	65.00	65.00	65.00	65.00	65.00	65.00	65.00	65.00	65.00	65.00	<u>780.0</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა													
	32.50	32.50	32.50	32.50	32.50	32.50	97.50	97.50	97.50	97.50	97.50	97.50	<u>780.0</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36</u>
ჯამი	<u>35.50</u>	<u>35.50</u>	<u>35.50</u>	<u>35.50</u>	<u>35.50</u>	<u>35.50</u>	<u>100.50</u>	<u>100.50</u>	<u>100.50</u>	<u>100.50</u>	<u>100.50</u>	<u>100.50</u>	<u>816.0</u>

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

გრაფიკი N5.

სააბონენტო პაკეტი „სტარტ +“ და „ლაითი“ (8 ქალაქით), სააბონენტო გადასახდელი - 23 ლარი, ვადა - 12 თვე

სილქ ტვ + ინტერნეტი (მომსახურების სააბონენტო გადასახდელი)	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	23.00	<u>276.0</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12		
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა	11.50	11.50	11.50	11.50	11.50	11.50	34.50	34.50	34.50	34.50	34.50	34.50	34.50	<u>276.0</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36</u>
ჯამი	14.50	14.50	14.50	14.50	14.50	14.50	37.50	37.50	37.50	37.50	37.50	37.50	37.50	<u>312.0</u>

გრაფიკი N6

ახალი აბონენტებისთვის: ინტერნეტი ან სილქ ტვ და ინტერნეტი ერთად - ინსტალაციის ღირებულება - 49 ლარი, ვადა - 12 თვე

არსებული აბონენტებისთვის: სილქ ტვ-ის ან ინტერნეტის დამატება - ინსტალაციის ღირებულება - 49 ლარი, ვადა - 12 თვე

ინტერნეტი /სილქ ტვ + ინტერნეტი (მომსახურების ინსტალაცია)	49													<u>49.00</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12		
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა	2.04	2.04	2.04	2.04	2.04	2.04	6.13	6.13	6.13	6.13	6.13	6.13	6.13	<u>49.00</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36.00</u>
ჯამი	5.04	5.04	5.04	5.04	5.04	5.04	9.13	9.13	9.13	9.13	9.13	9.13	9.13	<u>85.00</u>

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

გრაფიკი N7

დამატებითი ტელევიზიის ინსტალაციის ღირებულება - 50 ლარი, ვადა - 12 თვე

დამატებითი ტელევიზიის ინსტალაცია	50												<u>50.00</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა	2.08	2.08	2.08	2.08	2.08	2.08	6.25	6.25	6.25	6.25	6.25	6.25	<u>50.00</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36.00</u>
ჯამი	5.08	5.08	5.08	5.08	5.08	5.08	9.25	9.25	9.25	9.25	9.25	9.25	<u>86.00</u>

გრაფიკი N8

ორი დამატებითი ტელევიზიის ერთდროულად ინსტალაციის ღირებულება - 100 ლარი, ვადა - 12 თვე

დამატებითი ტელევიზიის ინსტალაცია	100												<u>100.00</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა	4.17	4.17	4.17	4.17	4.17	4.17	12.50	12.50	12.50	12.50	12.50	12.50	<u>100.00</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36.00</u>
ჯამი	7.17	7.17	7.17	7.17	7.17	7.17	15.50	15.50	15.50	15.50	15.50	15.50	<u>136.00</u>

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
 თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____

გრაფიკი N9

უსადენო მოდემის ინსტალაციის ღირებულება - 50 ლარი, ვადა - 12 თვე

მოწყობილობის ინსტალაცია	50												<u>50.00</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა	2.08	2.08	2.08	2.08	2.08	2.08	6.25	6.25	6.25	6.25	6.25	6.25	<u>50.00</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36.00</u>
ჯამი	5.08	5.08	5.08	5.08	5.08	5.08	9.25	9.25	9.25	9.25	9.25	9.25	<u>86.00</u>

გრაფიკი N10

უსადენო მოდემის ინსტალაციის ღირებულება - 89 ლარი, ვადა -12 თვე

მოწყობილობის ინსტალაცია	89												<u>89.00</u>
თვეების რაოდენობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა	3.71	3.71	3.71	3.71	3.71	3.71	11.13	11.13	11.13	11.13	11.13	11.13	<u>89.00</u>
საკომისიო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	<u>36.00</u>
ჯამი	6.71	6.71	6.71	6.71	6.71	6.71	14.13	14.13	14.13	14.13	14.13	14.13	<u>125.00</u>

კომპანია:

სს "სილქნეტი"

წარმომადგენლის სახელი, გვარი _____
თანამდებობა _____

აბონენტი:

სახელი, გვარი _____